№ 194. სექტემბრის 7, პარასკევი. 1866—1884. სექტემბრის 7, პარასკევი. № 194.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ელი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე, რვა ჯერ განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა-ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

„დროების“ ფასი სექტემბრის 1-დან წლის დამლევამდე 4 მანათი.

მომჰირნეობის ახალი მასწავებელი

თბილისი, სექტემბრის 7-ს.

სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებას ერთი საინტერესო საქმის დაწყობა განუზრახავს: გუშინდელ «ქრონიკაში» წაიკითხავდით, რომ ამ განყოფილებასთან ფუძნდება ახალი კასა, რომელშიაც ყველას შეუძლიან ფულის შეტანა, ანუ მიბარება 4%-ად 25 კაპეიკიდამ დაწყებული. ეს პირველის შეხედვით, თითქო ახალი ამბავი არ არის ჩვენთვის; როგორც სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში, ისე სხვა საკომერციო ბანკებში დაფუძნებიდამვე იბარებენ ფულს და დაწესებულს %-ს აძლევენ; მხოლოდ ამ ბანკებისა და ახალის კასის შორის ის განსხვავება იქნება, რომ ბანკები იბარებენ უმეტესლად დიდ ფულს და ახალი კასა კი მიიღებს ხუთი შაურიდამ დაწყებული, რამდენიც უნდა წარადგინონ და ვინც უნდა წარადგინოს. ბანკები არისტოკრატიული-ნი დაწესებულებანი არიან და ახალ კასას კი უფრო დემოკრატიული სული ედგის. ამ კასაში უკანასკნელს დღიურ მუშას შეუძლიან დღიურ საზრდოს მონარჩენებული ფული შეიტანოს, კაპეიკობით გადასდოს და მასუკან მანათობით მიიღოს თავის სარგებლით.

ესეთი დაწესებულება დიდი ხნის მოგონილი არ არის, მაგრამ ეხლა თითქმის ყოველს განათლებულ ქვეყნებში არსებობს. შემნახავი კასები გაცხოველებულნი არიან იქ, სადაც ხალხი უფრო მომჰირნეა, შრომის მოყვარე და შავის ღლისათვის თვისის მონაგარის გადამდები. მეტადრე ჩრდილოეთის ხალხი განსხვავდება ამ თვისებით. შვეიცარიასა, ნორვეგიასა და ფილადელფიაში ძვირად შეხვდებით კაცს, რომელსაც ესეთი შენახულობა არა ჰქონდეს. იქ ესეთი დაწესებულება ფოსტის კანტორებთან არის გამართული, რომ ხალხს შესვლა-გამოსვლა უფრო ეადვილებოდეს. მინც კი ფულის მიბარებას დაიწყობს, ეძლევა პატარა წიგნი, რომელშიაც ფოსტის მოხელენი ჩაწერენ ყოველთვის, რასაც კი შეიტანს წიგნის პატრონი, ან რასაც გამოიტანს. ფოსტის კანტორები ხსენებულ ქვეყნებში ისე ხშირად არიან დამართულნი, რომ თითქმის ყოველს სოფელს შეუძლიან მახლობელ კანტორაში მივიდეს და ფული მიაბაროს.

ჩვენში ესეთი საქმე სრულებით ახალი საქმეა და ის დაწესებულებაც, რომელსაც იგი დაუწყია, მეტის-მეტად ხამად იქცევა. მართლაც, სახელმწიფო ბანკის განყოფილებას კარგად უნდა ესმოდეს, რომ არა საქმეს ისე არ ეჭირვება მიჩვევა ხალხისა, როგორც ახლად მისგან დაწყებულს. მაშასადამე, თუ სურდა მას, რომ საქმე ფორმალურად კი არ დაეწყო, არამედ ყველასათვის შეეტყობინებინა და ხალხი, რაც შეიძლება მეტი მიეზიდნა კასაში, უნდა ადრიდამვე დაწვრილებით გამოეცხადებინა ის წესები, რა წესებითაც იხელმძღვანელებს ამ საქმეში და სახალხოდ დაერიგებინა.

სახელმწიფო ბანკის განყოფილების გამგენი დაგვეთანხმებიან, რომ „ხუთ შაურიან ხალხს“ ბევრი ჩიჩინი უნდა, როგორც ბეჭდვით, ისე სიტყვით, თუ გვსურს, რომ ახალი აზრი კარგად გაითქვიფოს თავში და მასუკან საქმითაც დადგეს მას.

სამწუხაროდ, სახელმწიფო ბანკის განყოფილება ასე არ მოიქცა და მისის ახალის და ფრიად სასარგებლო განზრახვის ამბავი მხოლოდ მაშინ შეეტყეთ და ისიც მოკლედ, როცა კასამ მოქმედება უკვე დაიწყო.

შინაური ქრონიკა.

— ჩვენ მივიღეთ ნამდვილი ცნობა იმ შემაძრწუნებელ მკვლელობაზედ, რომელიც ამ რამდენიმე ღლის წინ მომხდარა ბომბორზედ. მსხვერპლი ამ მკვლელობისა არის თბილისის ვერის სასაფლაოს საყდრის მღვდელი ბაბრიელ სოფრომაძე. იგი დასთხოვნია ბლალოჩინს ცამეტის ღლით თელავისკენ ფულის მისაღებად ვილაც აბელოვისაგან. აგვისტოს 29-ს თელავიდამ წამოსულა და გზაზედ მოუკლავთ. ამ ხანად ვიტყვით, რომ განსვენებული იყო ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი საქართველოს სამღვდელოებისა.

— ჩვენ ვთხოვს რუსეთში მოსწავლე ქართველობა,—მიემართოთ ქართულის წიგნების გამომცემელთ და ვიშუამდგოლოთ მათ წინაშე, რომ თავიანთი გამოცემანი ქართველ სტუდენტებს დაუთმონ 20% ნაკლებ. ჩვენ რამდენადაც ვიცით, სრული იმედი გვაქვს, რომ იგინი კმაყოფილებით შეასრულებენ ქართველ სტუდენტობის სურვილს.

— ოზურგეთიდამ გვწერენ: «დიდი ხანია, რაც ოზურგეთში საზოგადოება მოწადინებული იყო საქალებო სასწავლებელი დაეარსებინა. მოთავე და თავმოსანის კაცის უქონლობის გამო ეს სურვილი რჩებოდა მარტო სურვილად და 1882 წლამდე ჩვენ არ გვქონია სასწავლებელი. როცა ბურიაში მობრძანდა მისი მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობა ბურიის ეპისკოპოზი ალექსანდრე, მოსელისათანავე საჩქაროდ იგრძნო ჩვენი საჭიროება და მიიღო დიდი შრომელსაც ეგი დაუწყია, მეტის-მეტად ხამად იქცევა. მართლაც, სახელმწიფო ბანკის განყოფილებას კარგად უნდა ესმოდეს, რომ არა საქმეს ისე არ ეჭირვება მიჩვევა ხალხისა, როგორც ახლად მისგან დაწყებულს. მაშასადამე, თუ სურდა მას, რომ საქმე ფორმალურად კი არ დაეწყო, არამედ ყველასათვის შეეტყობინებინა და ხალხი, რაც შეიძლება მეტი მიეზიდნა კასაში, უნდა ადრიდამვე დაწვრილებით გამოეცხადებინა ის წესები, რა წესებითაც იხელმძღვანელებს ამ საქმეში და სახალხოდ დაერიგებინა.

სახელმწიფო ბანკის განყოფილების გამგენი დაგვეთანხმებიან, რომ „ხუთ შაურიან ხალხს“ ბევრი ჩიჩინი უნდა, როგორც ბეჭდვით, ისე სიტყვით, თუ გვსურს, რომ ახალი აზრი კარგად გაითქვიფოს თავში და მასუკან საქმითაც დადგეს მას.

სამწუხაროდ, სახელმწიფო ბანკის განყოფილება ასე არ მოიქცა და მისის ახალის და ფრიად სასარგებლო განზრახვის ამბავი მხოლოდ მაშინ შეეტყეთ და ისიც მოკლედ, როცა კასამ მოქმედება უკვე დაიწყო.

«დროების» ტელეფონი, სექტ. 7-ს.

ხევის ბერი

გოჩა.

(მოთხრობა *)

VI

ბაიარა ბნელმა და გულ-ჩათხრობილმა ზამთარმა და მასთან ერთად გაქრა სეედის ამშლელი ტყვიის ფერი ღრუბელი, რომელიც მწუხრის ზეწარსავით აბნელებდა მთის წვერებს და ხევებს. მასთან ერთად გაქრენ ჩდილოეთის ცივი ქარებიც, რომელნიც ბაიყუშურის ზუზუნით გაყინულს თოვლს აყრიდენ დედა-მიწის გაცოცხლებულს სურნელოვანს ფარდაგს და სულ-შეხუთულს ახმობდა, ფშვნეტდა და მტვრად აქა-იქ აბნევდა. ბუნება შეიცვალა: მოუსვენარის ზუზუნა ქარების ადგილი წყნარად მრხეველმა ნიავმა დაიჭირა. მიწა შეთბა და მოაცოცხლა მცენარენი, ბალახმა იგრძნო თავისი ძალა, წამოიწია და თეთრად გადაფარებული თოვლის სუდარი ჯერ დედა-მიწას ააშორა და მალე, მზის დახმარებასთან ერთად, წყლად აქცია და ქვეეით ხევებში ხრიალით და უგზო-უკელოდ გააქანა. მძიმე, უსიამოვნო ტეერთისგან განთავისუფლებულმა ძავკასიის მთებმა თითქოს თმები შეიბერტყეს და დამასევდიანებელის ყინულის მაგიერ მწვანე ხავერდი გადაიფარეს. ბაიღვიძეს ყვავილებმა და ნაზად თავის გადაგდ-გადმოგდებით დაუწყეს ერთმანერთს არშიყობა. ბაშმაგებული მზის სხივი მოუსვენრად ლამოდა მათის მშვენიერებით დატკბობას, მაგრამ მდელოთ კეკლუცნი მორცხვად პირს არიდებდენ. მარტო დაუსვენარს ფუტკარს ვერ ემალებოდენ და ნებას აძლევდენ სურნელიანი ფერფლი მოეკრიფა თავის ნაზის რბილის ბუსუსიანის ფეხებით და ბაშმაგებულს ამოეწოვა აქ სანეტარო ნექტარი.

ღილის ნამი მარგალიტსავით ესხმებოდა სიცოცხლით სავსე მწვანე ფოთლებს და მზისგან მეტად გახურებულს მცენარეთა რაოდენადმე აგრილებდა.

ჰაერში გაისმა ბალობა და ჭიკჭიკი ფრინველებისა, რომელთაც მთელი სამოთხის ნეტარება მოელოდათ; ტკბილის ძახილით მოუსვენრად იწვევდა ამხანაგი ამხანაგს ამ ნეტარებისთვის. ყველა გაცოცხლებულიყო, ყველას გული სცემდა და მიიბძოდა ტოლთან საფართხალოდ.

ბუნების ამ საერთო მეჯლისს დაჰყურებდა ოზნისე, რომლის გულსაც ჯერ გაზაფხული არ სწვეოდა და ზამთრის ღრუბელსავით ნისლ-მოხვეული მწარედ ჩაბნელებულიყო.

ყველასთვის ტკბილი, განახარებელი იყვნენ ეს მედიდური სურათები, მაგრამ ოზნისეს გულს-კი მარტო ნაღველს აწვეთებდენ და სიტკბოების მაგივრად ძიმწარეს აპკურებდენ.

ოზნისე ოხრავდა, ქშინავდა, მოსვენება ვერ ეპოვა და დაჭრილს ლომსავით გამედგრებული გმინვით დადიოდა მთა-ბარად.

ისა სწუხდა და ღონდებოდა, უნდოდა თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო, უნდოდა თავიანთი ანკარა წყაროს ჩუხჩუხი გაეგონა, რადგანაც სხვა ქვეყნის წყალის, არამც თუ გემო, არამედ ხმაურობაც-კი ისეთს მოაგონებდა ამ ადგილებისა, სადაც ბავშობა ერეოდა, ბალოდ-ბალოდ ხამად ეფიქრებოდა. ბალოდ-ბალოდ ხამად ეფიქრებოდა. ბალოდ-ბალოდ ხამად ეფიქრებოდა.

---

*) იხილე «დროება» № 188.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა ჩვენი სურვილის განსახორციელებლად. მაგრამ ამ დროს, არ ვიცი რისთვის, ჩვენი საზოგადოება უეცრად განშორდა ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს და სხვათა თაოსნობით გახსნა ცალკე საქალებო სასწავლებელი. ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემაც განაგრძო თავის დაწყებული შრომა და გახსნა ოზურგეთშივე სასულიერო საქალებო სასწავლებელი თავის საკუთარი ხარჯით. ამ გვარად ჩვენ გაგვეხსნა ერთის მაგივრ ორი საქალებო სასწავლებელი: სამოქალაქო და სასულიერო. პირველი არსებობს მთელი ჩვენი საზოგადოების ხარჯზე და მეორე კი მარტო მისს ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსანდრეს ხარჯითა და შემწეობით. პირველის საქმე მიდის კარგად: აქ მასწავლებელიც კარგი გვყავს და მატერიალური მხრითაც იმედიანადა ვართ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ ითქმის მეორე სასწავლებლის შესახებ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ სკოლის დამაარსებელი არავითარ ღონის-ძიებას არ დაზოგავს თავის სკოლისათვის. მისი მრავალ გვარი საქველ-მოქმედო და საზოგადო სასარგებლო მოღვაწეობა კარგი საბუთია ამ მხრივ. მაგრამ მეორე მხრით ნუ დავივიწყებთ, რა ძნელია ერთი კაცისათვის მთელი სასწავლებლის შენახვა და მისი მომავალის მტკიცე ნიადაგზე დაყენება.

ამ სასწავლებელში მასწავლებლად, ცოტა არ იყოს, სუსტი მასწავლებელი არის; ძრიელ საჭიროა უფრო კარგი მომზადებული მასწავლებლის დაჭერა. მაშინ ჩვენი სამღვდელოებაც უფრო კარგი თვალით შეხედავს სასწავლებელს და, თუ სხვა შემწეობა ვერ ღმოუჩინა, თავის შვილებს მაინც შეიყვანს სასწავლებელში და მასწავლებელიც ცუდ-უბრალოდ აღარ მოსცდება. ახლა კი ამ სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი არ აღემატება 16, როცა სამოქალაქო სასწავლებელში მოსწავლე ქალების რიცხვი თითქმის ორმოცდ-ათამდე ადის. მრთი სიტყვით— ძრიელ საჭიროა ამ სასწავლებლისათვის ზრუნვა, წინააღმდეგს შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა, რომ ეს ორი სასწავლებლები შეერთებულიყვნენ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს ნებით და მისი შემწეობითვე, რადგან შეერთებული ძალით უფრო კარგად წავიდოდა სასწავლებლის საქმე. იმედია, ამ გარემოებას არ დასტოვებს უყურადღებოდ ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე და იხმარს საჭირო საშუალებას».

═ ბორის მაზრის ოსეთიდამ გვწერენ: «ჩვენში ეხლავე საშინელი სიცივეები დადგა, ასე რომ ჭირნახულის მოსვლის იმედი აღარავისა აქვს. ამასთანავე ამ დღეებში ზღუბირის ხეობაში სეტყვა მოვიდა და გლეხების წლიური შრომა ამაოდ ჩაატარა».

═ იმერეთიდამ და ქართლიდამ მინდვრის თაგვს უჩიოდენ ამას წინედ. ეს ხალხის მტერი ეხლა სამხრეთ-ოსეთშიაც გაჩენილა და შანათში ქათმებსაც კი ხოცავს თურმე.

═ «ქავკაზში» სწერენ, რომ სომხების სასულიერო აკადემიაში, რომელიც ეჩმიაძინში არის დაარსებული სომხების უწმინდესის სინოდის მიერ, წელს ბევრი ცვლილება მოხდაო. დათხოვნილ იქმნა რექტორი აკადემიისა და მასთან რამდენიმე მასწავლებელი. ახალ რექტორად სინოდი აპირობს სმირნის მთავარ-ეპისკოპოზის მელქი-სედექ მურადიანის დანიშვნას. მურადიანი მთელის სომხობის საყვარელი პირია, როგორც კეთილი მწყემსი, ღვთის-მეტყველი, პედაგოგი, სომხობის ღრმად მცოდნე და ავტორი რამდენიმე სამეცნიერო თხზულებათაო.

═ აგვისტოს 31 თბილისის რკინის გზის ვაგზალზე კინაღამ ცეცხლის მსხვერპლი არ შექნილა მატარებელთათვის დანიშნული შერობა. ნაპერწკალი ამოვარდნილიყო მატარებლიდამ და სახურავს წაჰკიდებოდა. ცეცხლი რამოდენიმე წუთის განმავლობაში გაანქრეს. („ქავკაზი“).

═ ამავე გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი სავალდებულო გარდაწყვეტილება ქავკასიაში საომარი იარაღის გასყიდვისა, შენახვისა და ტარების შესახებ:

1) აღკრძალება ყველას, იმათ გარდა, ვისაც განსაკუთრებული ნებართვა არა აქვს აღებული, რომ იქონიოს ანუ ატარის განვითარებულის სისტემის თოფი.

2) ბანუკითხველად აღკრძალულ იქმნა, რომ ან იყიდოს, ან გაჰყიდოს ვინმემ (ვინც უნდა იყოს) საომარი თოფი იმ ნიმუშისა, რომლითაც ჯარია შეჭურვილი.

3) შემოზიდვა ქავკასიაში თოფისა მრავალად მთელი ტრანსპორტით აღკრძალულ იქმნა, თუ ყოველთვის ცალკე ნება-რთვა არ იქმნა აღებული გუბერნატორისა ან ოლქის უფროსისაგან.

4) ვალად ედებათ სატრანსპორტო კანტორებს და იმ პირთ, რომელთა ხელობაც საქონლის გადაზიდ-გადმოზიდვაა, ყოველთვის, ჟიდრე გადასცემენ თოფ-იარაღს მიმღებელს, შეატყობინონ პოლიციას ჯეროვანად განსაჩხრეკად და დასარწმუნებლად, რომ იარაღი ნამდვილად ადრესატს გადაეცემა.

5) აღკრძალებათ თოფ-იარაღის მაღაზიების პატრონებს, მეკონდახეთ, ანუ თოფის გამკეთებელთ და საზოგადოდ ყველას, ვინც თოფ-იარაღით ვაჭრობს, მიკიდვა რთულის სისტემის თოფისა იმ პირთათვის, რომელთაც ნება-რთვის მოწმობა არა აქვთ პოლიციისაგან აღებული და ამ სახით უფლება არ მოუპოვებიათ, რომ ამ გვარი თოფი იქონიონ.

6) დამნაშავენი ამ გარდაწყვეტილების 1-ლისა და მე-2 მუხლის დარღვევისათვის, პასუხისგებაში მიეცემიან, როგორც აღკრძალულის იარაღის მექონნი და მტარებელნი მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ გადაწყვეტილ დასჯათა წესდების მე-117 მუხლის ძალით (სამსაჯულო წესდებულებანი იმპერატორის ალექსანდრე მე II-ისა. დაბეჭ. 1883 წ.). ორთმეული თოფები, მოხსენებულის სტატიის ძალით, უნდა გადაეცეს ახლო მყოფ ჯარს არტილერიის საწყობში გარდასაცემად.

7) დამნაშავენი ამ გარდაწყვეტილების მე-3—5-ე მუხლის დარღვევისათვის პასუხის გებაში მიეცემიან იმავე წესდების მე-29 მუხლისამებრ.

═ ბაზ. „ნორდარში“ მოთხრობილია ოდესელი კორესპონდენტისაგან ერთი სამწუხარო ამბავი, შედეგი ხალხის უმეცრებისა. იქ ერთ სომეხს გახდომია ავად ბავშვი და ეიდაც შინაურს ჯანაოზს ექმს ქურთს გვარად მაშოს ისეთი საფალარათო მიუცია, რომ ბავშ-

---

მილში გამოიხატებოდა სიტყვები: «თავს უბრალოდ აწყვეტ, ვერსად წამიხვალ». და ეს საკმარისი იყო, რომ ანგელოზის სახე ონისეს ეშმაკად მოსჩვენებოდა.

ამ გვარად ატარებდა ონისე დროსა და უიმედოდ, უბრალო ბრძოლაში ლევდა ყმაწვილ-კაცობის გრძნობას და ცეცხლსა.

ძნელი და მწარე იყო მისი ცხოვრება, მაგრამ მაინც ყოველთვის მისი ფიქრები ერთისა და იმავე გადაწყვეტილებით თავდებოდენ და «ეს გადაწყვეტილება იყო, რომ ძიძია არ უნდა ჰყვარებოდა და უნდა დაეიწყა».

X

ერთს დღეს, აროტის ერთი მთის ძირას, სადაც თუშებს საზაფხულოდ ცხვარი ედგათ, მწყემსები შეკრილიყვნენ და საღმრთო გაემართათ. მწყემსთა შორის მრავალი მოხევეები იყვნენ, რომელთაც თუშების ცხვარი „დაეზიარებინათ“ და აქ ელოდენ ყავლის გასვლას.

საკლავები მოხარშულიყო და მოგროვილი ხალხი ერთმანერთს ეთაეაზებოდენ, რომ რიგზედ უფროსობით დამსხდარიყვნენ; ნახევარი წილი ხალხისა კიდეც დალაგებულიყო, როდესაც ქედზედ გამოჩნდა ვიღაცა კაცი, გაშიშვლებული თოფი გადაეგდო მხარზედ, წამოეკეცა ჩოხის კალთები და გამალებული მოაბიჯებდა; მოხდილი ქუდი ხელში ეჭირა და მით ჩქარ-ჩქარად იწმენდდა შუბლსა, რომელზედაც ხვითქი გადმოსდიოდა.

როგორც ეტყობოდა, მომავალი ორის გზიდგან უნდა ყოფილიყო და უეჭველად საჭირო საქმეზედ წასული, რადგანაც ყოველ ფეხის გადმოდგმაზედ ცდილობდა ნაბიჯისთვის მოემატებინა და მით გძელი გზა შეემოკლებინა. მთაზედ მყოფმა ხალხმა მომავალს შეჰკრა თვალი და ყურება დაუწყო. მთაში მგზავრი ძნელადა ხედება და ამისთვის ახალ მოსულისაგან ყველა ახალ ამბავს მოელის ხოლმე; ყველას იმედი აქვს, რომ თავის სოფლის თუ სახლობის მდგომარეობაზედ რასმე გაიგონებს და ამის გამო მომავალის ყოველ ნაბიჯს მოუთმენლობაში შეჰყავს მომლოდინე და გულის ძგერით ასურვებს მის ჩქარა მოახლოვებას.

სწორედ ასე იყო ეხლაც. ყველანი წამოიშალნენ და სიტყვებით: «ვინ იქნება? ძალუმ, ჩქარა-კი მოდის»... დაუწყეს ყურება.

მზე მომავლის მხარიდგან იყო და, რადგანაც მწყემსებს შუქი პირ-და-პირ სახეში სცემდა, ამისთვის იმათაც ხელებით მოეჩდილებინათ თვალებისთვის და ისე გასცქეროდენ. მაყურებელთ შორის ონისეც ერია, რომელსაც მოუთმენლობა ყველაზედ მომეტებულად დასტყობოდა და ყველაზედ წინ გასულიყო, რომ უცნობს სხვებზედ ადრე შეჰკროდა.

უცნობი ჯერ შორს იყო და ღელე ჰქონდა გამოსაველელი, რომელშიაც ჩქარა ჩაეფარა. ონისე თვალს არ აშორებდა იმ ადგილს, სადაც ის კაცი უკანასკნელად დაინახა.

მომავალმა ამოიარა ღელე, თავი ამოჰყო ფერდობზედ და ონისემ ერთი შეჰკივლა და სიხარულით მომავლისკენ შავარდენსავით გაქანდა. იცნო თავისი მეზობელი და თავისთან ერთად შეზრდილი მოხევე.

— გზა მშვიდობისა, დათაუ! შორიდგანვე შესძახა გახარებულმა ონისემ.

— მშვიდობა მოგცეს შფალმა,— გადაუხადა სალამი დათამ.

ორნივ მიახლოვდენ ერთმანეთს, შესდგნენ და გადაეხვივნენ. მასუკან განშორებულნი რაოდენსამე ხანს ჩუმად დარჩნენ. ონისეს ვერ მოეხერხებინა ეკითხა რამე, რადგანაც ძალზედ მოწოლილი სურვილი ათასი ამბის ერთად შეტყობისა ნებას არ აძლევდა, რომ ერთ-ერთიდგან დაეწყო გამოკითხვა და დათა-კი თითქოს გასჯიბრებოდა და განგებ არას ეუბნებოდა.

ახლად მოსული მეტად დაფიქრებული იყო, რომ მის მხრით ეს სიჩუმე ონისეს ხუმრობად მიელო; უეჭველია, იმას რაღაცა უბედურება მოელოდა და დათა იმიტომ აგვიანებდა ხმის ამოღებას.

ონისემ შეხედა და ფერი ეცვალა.

— რაი ამბავია, მითხარ? — თითქმის ხვეწნით და ხმის კანკალით წარმოსთქვა ონისემ და უნუგეშოდ ხელები წინ გაიშვირა, თითქოს ეშინოდა არ წაქცეულიყო.

— ამბავი... მივიდეთ ბინაში და გეტყვით, ყველას გიამბობთ.

ონისეს, როგორც მარტო ერთს საგანზედ დაფიქრებულს, სხვა ვერა წარმოედგინა-რა, რომ საქმე ძიძიას შეეხებოდა და ეგონა, რომ ახლად

ვის წელებიც კი გაუხვეწია და ბავშვი ერთის საათის უკან მომკვდარა. როცა ექიმს გაუსინჯავს და გაუჭრია გვამი, აღმოჩენილა, რომ ბავშვი მოწამლულა ხელოვანის ქურთის უებარი წამლით.

რუსეთი

«მოსკოვის უწყებებში» ეკითხულობთ: «რკინის-გზების რიცხვი, რომლებსაც განაგებს და რომლებითაც სარგებლობს თვით მთავრობა, ნელ-ნელა მრავლდება. ს.-პეტერბურგის უწყებათა სიტყვით, ამ მიმდინარე წლის სექტემბრის განმავალობაში მთავრობა დაისაკუთრებს კიდევ სამს დიდს რკინის-გზის ლიანდაგს, რომელნიც ეხლა აუქციონური კომპანიების ხელშია. ფინანსთა სამინისტროს და ხელმეწიფ საზოგადოებათა ამ ჟამად მოლაპარაკება აქვთ იმ ფინანსიურ პირობათა შესახებ, რა პირობებითაც უნდა დარჩენ ეს გზები ხაზინას. რომ სახელმწიფო სალაროს არ გაუძნელოს საქმე ფულის გაღებით რკინის-გზების შესაძენებლად, ფინანსთა სამინისტროს, როგორც ისმის, გარდაუწყვეტია რკინის-გზის აქციების პატრონებს აძლიოს ნაღდი ფულის მაგივრად ამავე რკინის-გზების ობლიგაციები. ამისთანა საშუალებას მმართველობის მიერ რკინის-გზების მოსაპოებლად პირველად ლიბავო-რომენის რკინის-გზის საზოგადოების შესახებ იხმარებენ. ზეგმი და ანგარიშ ამ გზის შესასყიდველად უკვე შედგენილია, და, როდესაც სახელმწიფო რჩევის სხდომები დაიწყობა, როგორც ამბობენ, ამ უკანასკნელს წარუდგენენ დასამ-

უცხოეთი.

საფრანგეთისა და ჩინეთის საქმე.

იმ პეტიციაზედ, რომლითაც საფრანგეთის პალატის უკიდურესმა მხარემ მიმართა რესპუბლიკის პრეზიდენტს და რომლის თარგმანიც ჩვენის გაზეთის გუშინ-წინდელს №-ში იყო დაბეჭდილი, ზრევის შემდეგი წერილი მიუწერია ამ ჯგუფის პრეზიდენტის ბარონ დესათვის: «ბატონო დეპუტატო! მე მივიღე წერილი, რომლითაც პატივი მეცით და გამომიგზავნეთ იმ ჯგუფის სახელობით, რომლის თავმჯდომარეც თქვენა ბძანდებით. მე გარდავეცი იგი მინისტრთა რჩევის პრეზიდენტს, რადგან მე არ შემეძლო მომეცა იმაზედ პასუხი ისე, რომ არ გადამეჭარბებინა იმ უფლებისთვის, რომელსაც კონსტიტუცია მანიჭებს».

ამ გვარად უკიდურესი მხარის საჩივარი ბ. ფერიზედ და იმის ამხანაგებზედ ისევ ფერის ჩავარდნია ხელში გარდასაწყვეტად,

სხვასა

ღია წერილი ბ. ბოგდანოვილისადმი

თავიდამ ბოლომდის რომ დავარღვიო და ნაკუწ-ნაკუწად ვაქციო თქვენი კრიტიკული შენიშვნა ჩემი წერის ტაკიცებლად. ფაქტიკურად კი ხსენებული გზა გადავა მმართველობის ხელში სექტემბრის დამლევს. ამ გვარად ხაზინა იძენს ერთს უუდიდესს და უგრძელეს გზათაგანს».

ლაპარაკი ისევ შესწყდა. დათა გაბრუნდა მწყემსებისკენ და ონისეც ინსტინკტურად უკან გაჰყვა.

— დათაუ, მაშ რად არ მეუბნები, რაი ამბოვია?—ისევ ეკვმა გაურბინა გულში.

— მშვიდობის მეტი არა ვიცი.რა.

— მოიცა-ღა! შეაყენა ონისემ, მაგრამ ლაპარაკის გაგრძელება-კი ველარ მოახერხა; სიტყვა ძალიაზედ უნდოდა ჩამოეგდო, მაგრამ მისი სახელის წარმოთქმა ვერ გაებედნა. დათა იდგა და ლაპარაკის გაგრძელებას ელოდა.

— რაი გინდა?—ჰკითხა იმან ბოლოს.

— მე... მე... მამაი კარგადაა? ძლივ გაიგონ ენა.

ახლად მოსულმა გაოცებით შეხედა.

— ბონსა ხარ, ბიჭაუ, თუ არა?

— მაშ მიამბე, მითხარ... მითხარ ყველაფერი, ყველას ამბავი.—აჩქარებით დაიწყო ონისემ და ისეთის მუდარებით შეხედა, რომ კაცს შეეცოდებოდა.

— ბოჩაც მშვიდობითაა, შენი ბიძაცა, ღთის მადლით შენი ჯალაბობა ყველა მშვიდობითაა... ისრე არიან,

---

მოსული სიბრალულით არ უმჭლავნებდა.

იმ წუთებში ონისე ისეთს მდგომარეობაში იყო, რომ დათამ იმის მდგომარეობისა არა იცოდარა და მაშასადამე მის სიბრალულსაც ვერ იგრძნობდა.

აღგზნებული გონება, ფარვანად გადაჰქცეოდა, მისთვის მხოლოდ ერთს ადგილს ანათებდა სიწმინდის ლამპარი და მას დასტრიალებდა, მას ევლებოდა თავსა. სხვა საგანი არც მის გულს, არც მის აზროვნობას არ ეკარებოდა.

— მითხარი, ბალღო, ნულარ მიმალავ,— ძლივს წარმოსთქვა ონისემ და დაუმატა:— დასაკლავს ხარს რაიღა ყურება უნდა?

ახლად მოსულმა შეხედა ონისეს და დაინახა, რომ სამარის ფერი დასდებოდა. იფიქრა, რომ ონისეს უეცველად ეგონა, შინ რაიმე უბედურება შეემთხვა და ამისი შეეშინდაო.

— ბეჩა, რაი მოგსვლია, ყველანი მშვიდობით არიან.

— ნუ მომატყუებ, ღთის მადლსა!

— არა, სპარს ანგელოზის მადლმა, აბა რაისთვი მოგატყუებ.

ლთის მადლმა, თიკნის ყურიც არ დაჰკლებიათ.

— მაშ რაი ამბოვია?

— რაი ამბოვია და ნუგზარ ერისთავს ჩვენი ყმად გახდომა გაუბრაზავს.

— რაო? გაიკამათა ონისემ ისეთის ხმით, თითქო არ სჯეროდა.

— თუ არ დამმორჩილდითო, ლაშქრით თავს დაგესხმით და ამოგწყვეტავთო.

— სანამ ნურასა სჭამს, სანამ ხევი ვერც ამოსწყვიტოს და ვერც ყმად გაიხადოს, ამაყად წარმოსთქვა ონისემ და შუბლი შეიჭმუხნა.

ამ ლაპარაკში მოვიდენ სხვა მწყემსებიც.

— აბა ეგ ნიადაგ აგრე იქნების, მაგრამ ნუგზარის მოუსვენრობა სათემოდ გავარდნილია... რაკი ერთს იტყვის, თავადაც იცით, რომ უსისხლოდ აღარ დადგების...

— მაშ ხევში რას აპირობენ? იკითხეს იქეთ-აქეთ.

— ემზადებიან... თუ ძალა მოინდომეს, უჩხუბრად ვერ მოვრჩებით: მთებში ყველგან ბიჭები გაგზავნეს, რომ საცა ჩვენი მწყემსები არიან, მოა-

---

ლავს (ეიმრა საყმაწვილო. სიტყვებსა!) თანსიერებასა თვისსა ბუნებისასა“...

„მეოთხედ, ვიდრემე თქმული ადგილი, თანუღვლილებანი არიან სიტყვანი სხვა-და-სხვად წარმოებულნი ერთისა და მისვე ლექსის ძირისაგან“...

„ნაკვეთი ესე იმოქმედების ოდესმე სხვა-გვარად, და კიცხვასთანა აღირეკვის მით როდესაც იგი ვინმე შეჭრაცხს თავსა თვისსა,...

«წარმოვიდა რა მუნითვან ჭერგულეს»...

„ეგვიპტელთა აქვნდათ გონება ღონიერი ჭეშმარიტებისადმი, რომელსაც ხმარებულ ჭეოფდენ მას იგინი»...

„ვინაიდგან აწ შრომა ჩვენი არს ამას შინა, რათა ყოველნი ნაწილნი ფილოსოფიისანი»...

«განმსჯელობასა შინა გვარისა მის იდეათა გამოსატვისასა (ბავშვებს რა ნაირი ტვინი უნდა ჰქონდეთ, რომ ამისთანა სიტყვებმა არ დაუმახინჯონ?), მოგონება ყოველი, ანუ იდეა»...

«დაეკვეთების ესეცა, ვ-დ ზმნაი რომლისამე ნათესავისა, რომლისამე ულვლილებისა, და რომლისამე ხატისა ქვეშე შეტყული»...

„ზედ ვმიწევნილებთ მე ეჭვსისა მრთ (ქარაგმითაა) ულვლილებისა (ვაი საწყალი ბავშვები! არც ტვინით არიან მომზადებულნი, რომ ეს აბრაამის დროის ქართული ენა გაიგონ, არც წერით არიან გავარჯიშებულნი, რომ ამოიკითხონ და მეხანიკურად მაინც დასწერონ! ბამოჩენილმა პედაგოგმა კი შეუდგინა ამისთანა წერის დედანი.)».

«ეს არს ესე ვ-დ არ სადამე ბოვნილ

ლაპარაკი ისევ შესწყდა. დათა გაბრუნდა მწყემსებისკენ და ონისეც ინსტინკტურად უკან გაჰყვა.

— დათაუ, მაშ რად არ მეუბნები, რაი ამბოვია?—ისევ ეკვმა გაურბინა გულში.

— მშვიდობის მეტი არა ვიცი.რა.

— მოიცა-ღა! შეაყენა ონისემ, მაგრამ ლაპარაკის გაგრძელება-კი ველარ მოახერხა; სიტყვა ძალიაზედ უნდოდა ჩამოეგდო, მაგრამ მისი სახელის წარმოთქმა ვერ გაებედნა. დათა იდგა და ლაპარაკის გაგრძელებას ელოდა.

— რაი გინდა?—ჰკითხა იმან ბოლოს.

— მე... მე... მამაი კარგადაა? ძლივ გაიგონ ენა.

ახლად მოსულმა გაოცებით შეხედა.

— ბონსა ხარ, ბიჭაუ, თუ არა?

— მაშ მიამბე, მითხარ... მითხარ ყველაფერი, ყველას ამბავი.—აჩქარებით დაიწყო ონისემ და ისეთის მუდარებით შეხედა, რომ კაცს შეეცოდებოდა.

— ბოჩაც მშვიდობითაა, შენი ბიძაცა, ღთის მადლით შენი ჯალაბობა ყველა მშვიდობითაა... ისრე არიან,

---

გროვონ, მეც აქ გამომგზავნეს. მთელი მთიულეთი შეუყრია, ოსებიც მას მისდგომიან და ჩვენზედ წამოსულან... ეხლა ორუსოს ხეობაში თურმე დგანან.

— წავიდეთ, წავიდეთ! გაისმა რამდენიმე კაცის ხმა, რომელთაც იარაღს გაიღლეს ხელი, თითქოს ეხლავ ომში უნდა შერეულიყვნენ.

— ოსებს რაიღა უნდათ?—იკითხა ონისემ, რომელსაც ამ საქმემ ძიძია ერთის წუთით დააივწყა.

— ოსები ვითომ შუაკაცობენ და საქმით კი წყალს ამღვრევენ... თავად ჩვენთან ვერა გაუწყვიათ რა და ახლა ნუზარაის იმედი აქვსთ.

— აბა, ბიჭებო! გვიანობისა აღარაა! დაიძახა ონისემ და დაუმატა:— რაიც ამბოვია, იქაც გაიგებთ.

— წავიდეთ, წავიდეთ! მისცეს პასუხად და გაქანდენ თავიანთ ბარგისა და თოფებისაკენ.

ა. ბოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲠᲡ ᲖᲛᲜᲐᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ, ᲛᲔᲥᲣᲡᲘᲡᲐ(?) ᲐᲛᲘᲡ ᲣᲧᲕᲚᲘᲓᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲭᲒᲔᲨᲘ ᲨᲔᲪᲣᲚᲘ...»

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲕᲐᲠᲡ ᲮᲐᲠᲯᲡ, ᲠᲐᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ ᲐᲛᲝᲬᲠᲘᲚᲘ ᲥᲕᲘᲓᲐᲛ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲢᲐᲜᲐᲓ (для перевода) ᲛᲝᲣᲜᲓᲔᲑᲐ, ᲛᲔ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲑ ᲩᲔᲛᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ.

ᲐᲛᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲮᲕᲐᲚ, ᲐᲜ ᲖᲔᲒ.

Გ. ᲒᲐᲑᲘᲩᲕᲐᲫᲔ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 6 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ

Ბ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲝ!

ᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲓ ᲒᲗᲮᲝᲗ ᲓᲐᲛᲔᲛᲝᲬ-ᲛᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲐᲮᲚᲝ №-ᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲐ ᲕᲐᲠ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲯᲔᲠᲐᲪ ᲐᲠ-ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡᲐ „ᲝᲠᲘ ᲗᲒᲔ ᲡᲝᲗᲔᲚᲐᲓ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪᲐ ᲡᲩᲐᲜᲡ, ᲐᲠ ᲔᲪᲐᲛᲜᲘᲪᲐ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲭᲠᲔ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ. «ᲞᲡᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ Ბ. ᲚᲘᲐᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲪᲐᲕᲡᲝ»—ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲩᲔᲛᲖᲔᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲠᲪᲙᲘ ᲔᲧᲝᲤᲘᲚᲕᲐᲠ ᲘᲛ ᲖᲝ�გᲘᲔᲠᲗ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲐᲬᲔᲠᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲖᲔᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ.

�გᲘᲝᲠ�გᲘ ᲓᲘᲐᲡᲙᲕᲔᲚᲘ (ᲩᲝᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ).

1 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ.

ᲕᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ. ᲠᲔᲓ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(„ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡᲘ“)

ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ 6-Ს

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ᲡᲙᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲕᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ 22.

ᲨᲐᲜ-ᲮᲐᲘ. 2000 ᲭᲠᲐᲜᲪᲣᲖᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲔᲜ ᲙᲝᲜᲕᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲛᲓ. ᲛᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲠᲗᲐᲕᲗᲐᲜ, ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲡ ᲩᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲖᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ. ᲩᲘᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲘᲔᲡ.

ᲞᲔᲣᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ 6 «ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲓᲔ-Ს.-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠ» ᲒᲕᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲗᲐ ᲘᲛᲕᲔᲠᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲛᲝᲚᲐᲐᲕᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲐᲗᲐᲕᲓᲐ. ᲡᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲐ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲐ. ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲩᲐᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲘᲡ ᲘᲥᲘᲗ ᲡᲐᲛᲗᲐ ᲘᲛᲕᲔᲠᲘᲐᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲪᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲔᲥᲛᲜᲔᲑᲐ. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲢᲔᲠᲜᲘ ᲕᲔᲦᲐᲠᲐᲡ ᲒᲐᲐᲬᲣᲮᲔᲑᲔᲜ ᲐᲛ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲗᲐ ᲘᲛᲕᲔᲠᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲕᲘᲠᲐᲓᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲝᲑᲐᲖᲔᲓ.

ᲡᲙᲔᲠᲜᲔᲕᲘᲩᲘ. ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲘᲚᲘᲡ 9 ᲡᲐᲐᲗᲖᲔᲓ ᲘᲛᲕᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲕᲘᲚᲰᲔᲚᲛᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲡ ᲬᲐᲕᲘᲓ; ᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲐᲪᲘᲚᲔᲡ ᲮᲔᲛᲬᲘᲤᲔ ᲘᲛᲕᲔᲠᲐᲢᲝᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲕᲔᲠᲐᲢᲠᲘᲪᲐᲛ ᲓᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲘᲛᲕᲔᲠᲐᲢᲝᲠᲛᲐ. ᲘᲛᲕᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲕᲘᲚᲰᲔᲚᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲮᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲠᲕᲘᲐ ᲮᲔᲛᲬᲘᲤᲔ ᲘᲛᲕᲔᲠᲐᲢᲝᲠᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲠᲗ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲐᲙᲝᲪᲔᲡ. ᲕᲘᲚᲰᲔᲚᲛᲛᲐ ᲘᲛᲕᲔᲠᲐᲢᲠᲘᲪᲐᲡ ᲮᲔᲚᲖᲔᲓᲐ ᲐᲙᲝᲪᲐ; ᲕᲐᲒᲝᲜᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ ᲕᲘᲚᲰᲔᲚᲛᲘ ᲙᲐᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲩᲔᲠᲓᲐ, ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲝᲚᲙᲘᲡ ᲐᲦᲘᲪᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲐᲓ ᲣᲗᲮᲠᲐ «ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ».

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲕᲘᲡᲠᲐᲛᲘᲐᲜᲘ

ᲓᲐ

ᲒᲐᲜᲓᲔᲒᲘᲚᲘ

ᲞᲝᲔᲛᲐ თ. Ი. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐ

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ „ᲬᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲪᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲐ. (ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡᲝᲜᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲜᲐᲖᲐᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ 1-ᲚᲘ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲡ ᲣᲙᲜ.)

ᲤᲐᲡᲘ „ᲒᲘᲡᲠᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐ“ 1 ᲛᲐᲜ. 50 Კ.
ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ — — — 1 ᲛᲐᲜ. 70 Კ.
„ᲒᲐᲜᲓᲔᲒᲘᲚᲘᲡᲐ“ — „ 15 Კ.
ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ — — — — — 20 Კ.

ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲡ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲔᲗᲛᲝᲑᲐᲗ. (10—8)

ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ

ᲡᲐᲛᲔᲡᲐᲜᲘᲙᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ

„ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔ“

ᲒᲐᲓᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ № 11, ᲡᲐᲮᲚᲘ ᲠᲔᲘᲢᲔᲠᲘᲡᲐ (ᲡᲐᲓᲐᲪ ᲣᲬᲘᲜ ᲘᲧᲝ «Общество Бережливости»). (5—2)

ᲫᲛ. ᲕᲘᲚᲐᲫᲔᲗᲐ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲛ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

ᲛᲘᲘᲦᲝ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ, ᲠᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘ, ᲓᲐᲤᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ. (5—5)

LA VÉRITABLE SALSEPAREILLE COLBERT

(ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲚᲡᲔᲞᲐᲠᲔᲘᲚᲘ)

ᲐᲠᲩᲔᲜᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲡᲐᲕᲔ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐᲡ. ᲣᲪᲣᲮᲘᲚᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲐᲕᲐᲓᲔᲗ. ᲔᲢᲘᲙᲔᲢᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲬᲘᲗᲚᲐᲓ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ J. PLATEAU. ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ. ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲝᲡᲢᲧᲣᲕᲓᲔᲗ, ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲣᲤᲠᲝ Ს. ᲖᲣᲠᲘᲙᲝᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲰᲐᲠᲝᲜᲘᲐᲜᲪᲡ. (8—7)

ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘ Ა. ᲛᲘᲠᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ᲔᲚᲘᲖᲐᲕᲔᲢᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔᲓ, ᲢᲔᲠ-ᲡᲐᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ, № 114.

ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ 1-ᲓᲒᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲑᲐ. (10—9)

ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡᲔᲣᲚ ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲐᲨᲘ

ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔᲓ, ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲭᲘᲠᲘᲗ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲘ, ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘ. (25—4)

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ, ᲒᲝᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲐᲚᲐᲖᲘᲔᲑᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ᲛᲝᲡᲔ ᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲤᲐᲡᲘ 60 ᲙᲝ�პ.

ᲕᲘᲜᲪ ᲞᲘᲠ-ᲓᲐ-ᲞᲘᲠ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡᲒᲐᲜ (Тифлисъ Михайлов. ул. № 4-Георгію Давидовичу Картвелову) ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲔᲑᲡ ᲐᲠᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ 20 ᲔᲥᲖ., ᲘᲛᲐᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲓᲐᲔᲗᲛᲝᲑᲐ 50 ᲙᲐ�პᲔᲘᲙᲐᲓ. (10—2)

ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲐ ᲩᲠᲩᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲨᲐᲜᲙᲐᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲜᲐᲤᲗᲐᲚᲘᲜᲘ (ᲥᲐᲤᲣᲠᲘ) ᲩᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲬᲧᲝᲚᲒᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ, ᲡᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲚᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲐᲨᲝᲙᲘ, ᲒᲣᲢᲞᲔᲠᲩᲘᲡ ᲢᲝᲛᲠᲔᲑᲘ ᲑᲔᲬᲕᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲚᲘᲡ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲓ. ᲞᲝᲛᲐᲓᲐ ᲛᲔᲢᲐᲚᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲤᲔᲠᲐᲕᲐᲓ, ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲣᲚᲘ ᲕᲐᲥᲡᲐ, ᲒᲚᲘᲐᲜᲪ-ᲡᲐᲮᲐᲛᲔᲑᲔᲚᲘ, ᲚᲘᲚᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲜᲘᲗᲗᲔᲣᲚᲝᲑᲐᲜᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲡᲐᲐᲤᲗᲘᲐᲥᲝ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲐᲨᲘ. (70—54)

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ-ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲖᲠᲣᲕᲔᲜᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲜᲔᲑᲐ-ᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ

ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲝᲠᲗᲐᲕ ᲡᲥᲔᲡᲘᲡ ᲕᲘᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ.

1884—85 Წ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲡ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲡ ᲐᲡ�წᲐᲕᲚᲘᲐᲜ: 1) ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐᲡ, 2) ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲩᲝᲢᲖᲔ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡ, 3) ᲑᲣᲰᲒᲐᲚᲢᲔᲠᲘᲐᲡ (ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲡ, ᲝᲠᲘᲐᲜᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝᲡ), 4) ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐᲡ, 5) ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲔᲥᲡᲘᲚᲝ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐᲡ, ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗ ᲐᲡ�წᲐᲕᲚᲘᲐᲜ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ 6) ᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲣᲚᲡ ᲔᲜᲐᲡ, 7) ᲡᲣᲤᲗᲐ-ᲬᲔᲠᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲧᲠᲣᲚᲡ ᲮᲔᲚᲡ.

ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ 15. ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲛᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲪᲘᲓᲒᲐᲜ ᲝᲗᲮᲔᲚ-ᲓᲦᲔ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ 5—8 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ, ᲘᲥ ᲡᲐᲪᲐ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ; ᲡᲝᲚᲝᲚᲐᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲢᲘᲨᲩᲔᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ, ᲡᲐᲮᲚᲘ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ, № 21. ᲓᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡᲗᲘᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗ, ᲡᲪᲐ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲐ, ᲫᲘᲗᲐᲗ ᲬᲝᲒᲘᲐᲜᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲘᲠᲝ ᲙᲝᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘ. ᲥᲚᲘᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗ ᲡᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲗᲐᲕᲓᲔᲜ ᲬᲠᲘᲚᲘᲗ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲨᲣᲛᲔᲑᲔᲚᲡ Ს. ᲛᲐᲜᲣᲔᲚᲘᲐᲜᲪᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ. (7—6)

ᲡᲐᲒᲚᲝᲑᲣᲡᲝ ᲙᲐᲚᲛᲔᲑᲘ

TURNOR'S PATENT CLOSE POINTED PEN

ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲬᲠᲩᲐ ᲡᲣᲚ ᲛᲡᲮᲕᲘᲚ, ᲣᲡᲣᲤᲗᲐᲝ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲖᲔ. ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ. ᲘᲥᲜᲐ ᲐᲣᲪᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲚᲛᲔᲑᲘ ᲣᲝᲯᲔᲚᲘᲡ «ᲮᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ»—25% ᲘᲗᲕᲐᲓ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ. ᲘᲥᲜᲐ: ᲛᲔᲚᲜᲘ, ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘ, ᲙᲘᲜᲒᲔᲠᲢᲔᲑᲘ, ᲠᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘ, ᲓᲐᲥᲘ, ᲙᲐᲠᲜᲐᲚᲘᲜᲘ, ᲕᲔᲜᲐᲚᲘ, ᲙᲚᲛᲔᲑᲘ, ᲑᲣᲛᲑᲐᲣᲜᲘᲙᲔᲑᲘ, ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢ-ᲡᲘᲒᲐᲠᲔᲑᲘ, ᲐᲯᲑᲝᲛᲔᲑᲘ, ᲠᲐᲛᲙᲔᲑᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲢᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲝᲔᲑᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲜᲗᲝᲚᲘ, ᲡᲐᲚᲔᲡᲘ, ᲪᲐᲠᲐᲨᲕᲔᲑᲘ ᲯᲣᲠᲯᲚᲘᲡ ᲡᲬᲛᲔᲓᲐᲓ (ᲑᲝᲠᲐᲙᲡᲘ) ᲗᲔᲗᲠᲔᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲯᲐᲦᲚᲔᲑᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲙᲚᲘᲝᲜᲘᲜᲒᲔᲑᲘ, ᲢᲐᲮᲢᲔᲑᲘ, ᲡᲐᲕᲐᲠᲫᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲘ, ᲡᲐᲕᲐᲠᲪᲮᲚᲔᲑᲘ, ᲑᲔᲖᲛᲔᲜᲘ, ᲖᲐᲠᲔᲑᲘ, ᲑᲘᲜᲝᲙᲚᲔᲑᲘ ᲠᲣᲚᲔᲢᲘᲗᲔᲑᲘ, ᲒᲘᲢᲐᲠᲗᲐᲡᲔᲑᲘ, ᲛᲖᲘᲡ-ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘ, ᲙᲝᲛᲞᲐᲡᲔᲑᲘ, ᲢᲔᲠᲛᲝᲛᲔᲢᲠᲔᲑᲘ, ᲫᲔᲠᲬᲕᲔᲑᲘ, ᲠᲔᲛᲡᲔᲑᲘ, ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲔᲑᲘ, ᲡᲕᲘᲡᲢᲝᲙᲘ, ᲞᲝᲛᲝᲠᲩᲘ, ᲥᲐᲛᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲠᲢᲧᲚᲔᲑᲘ, ᲞᲠᲝᲑᲙᲔᲑᲘ, ᲡᲐᲞᲠᲝᲑᲙᲔᲑᲘ, ᲙᲠᲐᲜᲔᲑᲘ, ᲗᲘᲚᲓᲢᲠᲔᲑᲘ, ᲨᲩᲝᲢᲙᲔᲑᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ; ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲡ, ᲪᲮᲔᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲙᲘᲜᲢᲝᲨᲘᲑᲘ, ᲙᲠᲐᲒᲔᲑᲘ, ᲡᲐᲥᲛᲔᲛᲦᲠᲔᲑᲘ ᲥᲚᲘᲚᲓᲘ ᲙᲐᲢᲣᲠ-ᲙᲚᲝᲖᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲘ—20 Კ. (100—6)

ᲥᲘᲗᲘᲠᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲘᲕᲐᲖᲝᲕᲘᲡᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲔᲘᲓᲐᲜᲗᲜᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ.

(10—9) ᲐᲠᲔᲜᲓᲐᲢᲝᲠᲘ Მ. ᲐᲚᲛᲣᲠᲝᲕᲘ.

Доз. ценз. Тифлисъ, 6 Сентября 1884 г. ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲐᲠ. ᲥᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ Გ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ი. ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ